

შპს სასწავლო უნივერსიტეტი

გეომედი

ს/ნ 204909858

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება
(მე - III კატეგორია)

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ფორმა 1)	2
2. ფინანსური საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (ფორმა 2)	4
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (ფორმა 3)	5

განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები
5. კომპანიის შემოსავლები
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები
7. ფინანსური ხარჯები
8. ფული და ფულადი ექვივალენტები
9. მოთხოვნები
10. კაპიტალი
11. მიღებული სესხები
12. სხვა ვალდებულებები
13. პირობითი ვალდებულებები
14. რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების სტრუქტურა
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

დასახელება	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2021	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები (1110/1210/1220)	1 468 608,00	6 377 011,00	3 319 031,00
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან (1410/1411)	1408714,00	1047346,00	-133741,00
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ (1430/1435)	0,00	0,00	7 857,00
გადახდილი ავანსები (1485)	128 402,00	0,00	0,00
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება/მიწოდება (1710/1711/1735/1738)	42 397,00	0,00	0,00
მარაგები:			
მასალა და ნედლეული (1620)	5 792,00	4 082,00	185,00
სხვა მარაგები (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები)	0,00	0,00	0,00
ძირითადი საშუალებები:			
მიწის ნაკვეთები (2110)	114 818,00	0,00	114 404,00
დაუმთავრებელი მშენებლობა (2120)	911 616,00	0,00	0,00
შენობები-ნაგებობები (2130 - 2140)	4 404 495,00	4 436 872,00	4 509 193,00
მანქანა - დანადგარები (2150-2151-2157)	125 733,00	159 540,00	132 453,00
ოფისის აღჭურვილობა (2160)	331 685,00	372 420,00	241 604,00
ავეჯი (2170)	37 862,00	37 765,00	45 587,00
ინვენტარი (2170)	227 140,00	215 382,00	235 663,00
სატრანსპორტო საშუალებები (2180)	153 426,00	171 775,00	124 157,00
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა (2190)	10 589,00	11 146,00	11 733,00
არამატერიალური აქტივები (2580)	1 021,00	1 021,00	1 276,00
მრავალწლიანი ნარგავები (2145)	1 400,00	300,00	300,00
სულ აქტივები	9 373 698,00	12 834 660,00	8 609 702,00

ვალდებულებები	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2021	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019
მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები (3110)	0,00	-147574,00	9217,00
მიღებული ავანსები (3120)	0,00	0,00	0,00
გადასახდელი ხელფასები (3130)	1 754,00	-30,00	0,00
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე (3160)	0,00	0,00	0,00
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (3190)	56 550,00	273,00	0,00
საგადასახადო ვალდებულებები (3300)	0,00	-138856,00	-114062,00
გადასახდელი დივიდენდები (3420-3421)	0,00	0,00	0,00
მესაკუთრეებისგან ნასესხები სახსრები (3220-4220)	0,00	0,00	0,00
ბანკებისგან ნასესხები სახსრები (3210 - 4140)	0,00	0,00	0,00
სულ ვალდებულებები	58 304,00	-286 187,00	-104 845,00
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი შპს -ში (5150)	21 407,00	21 407,00	21 407,00
გაუნაწილებელი მოგება (5310)	3 871 730,00	13 099 440,00	8 668 668,00
დაუფარავი ზარალი (5320)	0,00	0,00	0,00
რეზერვი გაუნაწილებელი მოგებიდან (5410)	5 347 257,00	0,00	24 472,00
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (5420)	0,00	0,00	0,00
სხვა რეზერვები (5490)	75 000,00	0,00	0,00
სულ საკუთარი კაპიტალი	9 315 394,00	13 120 847,00	8 714 547,00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9 373 698,00	12 834 660,00	8 609 702,00

ხელმძღვანელი:



ბუღალტერი:






ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

დასახელება	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდი 2021 წელი	მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდი 2020 წელი
ამონაგები:	9 154 986,00	7 586 413,00
მომსახურების გაწევის საქმიანობიდან	8 628 909,00	7 242 461,00
საქონლის გაყიდვის საქმიანობიდან	0,00	0,00
საწარმოო საქმიანობიდან	0,00	336 083,00
სხვა საქმიანობიდან	526 077,00	7 869,00
რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება	0,00	0,00
საერთო მოგება	9 154 986,00	7 586 413,00
დასაქმებულთა ანაზღაურების ხარჯები	-3108635,00	-2347415,00
ცვეთა და ამორტიზაცია	-413632,00	-408890,00
აუდიტის ანაზღაურების ხარჯი	-12470,00	-12715,00
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-634716,00	-459547,00
საოპერაციო მოგება	4 985 533,00	4 357 846,00
სხვა ფინანსური შემოსავალი	78 046,00	90 535,00
სხვა ფინანსური ხარჯი	-1696,00	-101914,00
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-1190153,00	363886,00
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	3 871 730,00	4 710 353,00
მოგების გადასახადი	-87472,00	-61292,00
საანგარიშო პერიოდის მოგება / ზარალი	3 784 258,00	4 649 061,00
განაწილება მესაკუთრეებზე (ანუ დარიცხული დივიდენდები)	-487083,00	-218289,00
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი	3 297 175,00	4 430 772,00

ხელმძღვანელი: 

ბუღალტერი: 



ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი 2021 წელი	საანგარიშგებო პერიოდი 2020 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიყიდვებისგან/მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	18 347 935,00	10 190 869,00
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფული	-22695435,00	-7258061,00
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	-4347500	2 932 808,00
გადახდილი მოგების გადასახადი	-79227,00	-24757,00
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-4 426 727,00	2 908 051,00
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან	0,00	0,00
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	0,00	0,00
მიღებული პროცენტები	0,00	0,00
მიღებული დივიდენდები	0,00	0,00
ნეტო ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	0,00	0,00
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განაღდებაიდან	0,00	0,00
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	5 407,00	4 332,00
სესხის ძირის გადახდა	0,00	0,00
სესხის პროცენტის გადახდა	0,00	0,00
დივიდენდების გადახდა	-487083,00	-218289,00
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-481676,00	-213957,00
სავალუტო კურსის ეფექტი	0,00	363 886,00
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-4 908 403,00	3 057 980,00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	6 377 011,00	3 319 031,00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1 468 608,00	6 377 011,00

ხელმძღვანელი: 

ბუღალტერი: 



1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 1999 წლის 10 თებერვალს.

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ისანი- სამგორის რაიონი მეფე სოლომონ II-ის ქუჩა №4.

2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელი არის მარინა ფირცხალავა.

საზოგადოების ძირითადი საქმიანობის სფეროა უნივერსიტეტში სტუდენტების მოზიდვა და მათთვის სათანადო ცოდნის მიცემა, რაც წარმოადგენს ფასიანს, რომელიც არის საზოგადოების ძირითადი შემოსავალი. ასევე ხდება საკუთარი ფართის იჯარით გაცემა.

უნივერსიტეტის შენობებში ფუნქციონირებენ სტომატოლოგიური სასწავლო კლინიკა და ფიზიკური-სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი, საიდანაც საზოგადოების ბიუჯეტში ფორმირდება დამატებითი შემოსავალი.

2. მომზადების საფუძველი

აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა საზოგადოების მიერ მსს ფასს-ის (IFRS for SMEs) შესაბამისად, მსს ფასს-ის 1-განყოფილების „მცირე და საშუალო საწარმოები“ და 3 - განყოფილების „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ გამოყენების დანერგვის ხელშეწყობის მიზნებისთვის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

მსს ფასს-ის მიხედვით საზოგადოება პირველი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მინიმუმ ორი საანგარიშგებო პერიოდისთვის ამზადებს შემდეგ ანგარიშგებებს: ფინანსური შედეგების (ანუ მოგება-ზარალი) ანგარიშგება და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება. ასევე, მინიმუმ სამი საანგარიშგებო პერიოდისთვის – ფინანსური მდგომარეობის (ანუ ბალანსები) ანგარიშგებას, შესაბამისად მზადდება განმარტებითი შენიშვნებიც. თუმცა, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ კანონის მიხედვით კომპანიას აქვს უფლება გამოსცეს მხოლოდ საანგარიშგებო წლის პერიოდის (ამ შემთხვევაში 2021 წელი) მოგება-ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებები და ორი პერიოდის საბალანსო ანგარიშგება (ამ შემთხვევაში 2021 წლის საწყისი და საბოლოო პერიოდები).

აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია მომზადდა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაყენებლად, კომპანიისთვის მსს ფასს –ზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნითა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის“ მიხედვით დანიშნულებისამებრ წარსადგენად. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. აღნიშნული ინდივიდუალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია არ მოიცავს შედარებით ინფორმაციას გადასვლის თარიღამდე პერიოდებისათვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ფასების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ერთ ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

შპს სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“-სთვის ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც საზოგადოება ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები აღირიცხება, ამ ტრანზაქციის განხორციელების დღის არსებული კურსით, რომლისთვისაც გამოიყენება ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით.

3.2 აქტივები

საზოგადოება ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების გადახდის თარიღისთვის (გადავადების უპირობო უფლება), საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3.3.1 აღიარება და შეფასება

საზოგადოება ძირითად საშუალებებს აღიარებს როგორც ინდივიდუალურ აქტივებს შესაბამისი სასიცოცხლო ციკლით და ცვეთას არიცხავს პროპორციულად სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. თუ საზოგადოების მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები, მათი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მოითხოვენ შეკეთებასა და შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, აღნიშნული ხარჯები აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშში.

ნებისმიერი შემოსავალი ან ხარჯი რომელიც წარმოიქმნება აქტივის ამოღებიდან (გამოითვლება როგორც განსხვავება შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აღირიცხება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც ხდება აქტივის ამოღება.

3.3.2 ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯები

თუ ძირითად საშუალებებზე გაწეული დანახარჯი გამოიწვევს ამ საშუალებისგან მიღებული შემოსავლის ზრდას, მაშინ ეს დანახარჯი ზრდის ამ აქტივის ღირებულებას. თუ დანახარჯი აუცილებელია რათა შენარჩუნდეს, ან აღდგეს აქტივის არსებული მდგომარეობა, მაშინ ეს დანახარჯი აღირიცხება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

3.3.3 ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდის მიხედვით.

3.4 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საზოგადოებას სასაქონლო-მატერიალური მარაგების სახით გააჩნია სტომატოლოგიური მასალები, რომელიც გამოიყენება, როგორც სასწავლო ისე გარედან მოზიდული პაციენტების სამკურნალოდ. აღნიშნული მასალები აღირიცხება მომწოდებლებისაგან მიღებული მარაგების თვითღირებულებით.

3.5 შემოსავალი

შემოსავლები აღიარდება მაშინ როცა სავარაუდოა, რომ საზოგადოებას ექნება ეკონომიკური სარგებელი და ეს შემოსავლები შეიძლება განისაზღვროს საიმედოდ. მიუხედავად იმისა, როდის მოხდება გადახდა. შემოსავლების განსაზღვრა ხდება მიღებული ან მისაღები სამართლიანი ღირებულებით, გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

3.6 გადასახადები

3.6.1 მოგების გადასახადი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კანონმდებლობით გათვალისწინებული რეინვესტირებული მოგების გადასახადის განაკვეთი 0%-ს შეადგენს, თუმცა განაწილებისას გადასახადი 15%-ის ტოლია.

3.6.2 დამატებული ღირებულების გადასახადი

შპს სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“-ს ძირითადი შემოსავალი სტუდენტებისაგან მიღებული სწავლის ქირა სსკ-ის მიხედვით განთავსდებულად დღგ -ის გადასახადისაგან, ხოლო შემოსავალი რომელსაც ის ღებულობს იჯარიდან და უცხოელი სტუდენტებისაგან მომსახურების ღირებულებიდან, ქსეროქსიდან მიღებულ შემოსავლებს - იბეგრება დღგ-ით. (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

3.7 ფული და ფულის ექვივალენტები

ფინანსურ ანგარიშგებაში ფული და ფულის ექვივალენტები შედგება მიმდინარე საბანკო ანგარიშებისაგან.

3.8 სესხები

სასესხო ვალდებულებების თავდაპირველი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, საზოგადოება აფასებს ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზირებული ღირებულებით, სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე.

მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. მენეჯმენტმა უნდა შეაფასოს, გამოთქვას მოსაზრებები და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას მოახდენს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების რაოდენობაზე. გარკვეულმა დაშვებებმა და შეფასებებმა შეიძლება საჭირო გახადონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირება მომავალ პერიოდში.

5. საზოგადოების შემოსავლები

საზოგადოების შემოსავალი შედგება: სტუდენტების სწავლების საფასურისაგან, იჯარიდან მიღებული შემოსავლისგან, სტომატოლოგიური კლინიკიდან, სამედიცინო სარეაბილიტაციო ცენტრიდან და ქსეროქსის ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავლებისაგან, რომელიც 2021 წლის მდგომარეობით შეადგენს თანხას - 9 154 986,00 ლარი.

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021 წლის
ხელფასი	3 108 635,00
ცვეთა და ამორტიზაცია	413 632,00
ბანკის მომახურების საკომისიო	4283,00
საკონსულტაციო ხარჯი	12470,00
კომუნალური ხარჯი	94488,00
კომუნიკაციის ხარჯი	20398,00
საკანცელარიო ხარჯი	16903,00
საგადასახადო	59925,00
მივლინება/წარმომადგენლობითი ხარჯები	623,00
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	438096,00
სულ ხარჯი	4 169 453,00

2021 წლის განმავლობაში საზოგადოებას სრულ განაკვეთზე საშუალოდ დასაქმებული ჰყავდა - 99 თანამშრომელი. ხოლო მოწვეული პედაგოგები - 202 სპეციალისტი.

7. ფინანსური ხარჯი

	2021
ფინანსური ხარჯი ბანკისგან სესხებზე	0,00

8. ფული და ფულის ექვივალენტი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
ფული და ფულის ექვივალენტები	1 468 608,00	6 377 011,00

1-6 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

9. მოთხოვნები

მოთხოვნები უმთავრესად ყალიბდებიან და კლასიფიცირდებიან შემდეგი სახეობის მიხედვით:

- სტუდენტების სწავლების გადაუხდელი საფასურის ოდენობა.

10. კაპიტალი

10.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა შეადგენს 21 407,00 ლარს.

2021 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ მომხდარა.

10.2 დივიდენდები

ერთადერთი დამფუძნებელი წევრს დივიდენდის ოდენობისა და მისი განაწილების საკითხს, რაზეც ყოველი წლის დასაწყისში არსებობს დამფუძნებლის გადაწყვეტილება.

დივიდენდის გაცემის გადაწყვეტილება იქნა მიღებული 2021 წლის დასაწყისში.

	2021 წელი
გამოცხადებული დივიდენდები	487 083,00
სულ გამოცხადებული დივიდენდები	487 083,00

2021 წელს დივიდენდის გაცემის პერიოდსა და მოცულობებს ჰქონა შემდეგი სტრუქტურა:

2021 წლის 16 თებერვალი 242340,00 ლარი

2021 წლის 23 თებერვალი 244743,00 ლარი

ფიზიკურ პირზე დაკავებულმა და გადახდილმა დივიდენდის საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა: 24354,00 ლარი.

11. მიღებული სესხები

	საპროცენტო			2021 წლის	2021 წლის
	განაკვეთი	ხანდაზმულობა	ვალუტა	31 დეკემბერი	1 იანვარი
ადგილობრივი ბანკებიდან ნასესხები სახსრები	0,0%		GEL	0,00	0,00

12. სხვა ვალდებულებები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
საერთო ვალდებულებები	- 42397,00	-147 574,00

13. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო დაბეგვრა საქართველოში

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს კანონმდებლობაში ხშირი ცვლილებები. ოფიციალური გამონათქვამები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, ეწინააღმდეგება ერთმანეთს და სხვადასხვა ინტერპრეტაციას ექვემდებარება. პრაქტიკულად არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უაყოფიერი შედეგების აღბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ წინა სამი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცვას.

ამ გარემოებამ შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათი აღიარებული საგადასახადო ვალდებულებები შესატყვისობაშია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასთან. თუმცა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენა იქონიოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ შესაბამისი საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაცია იყო მართალი, მათი ინტერპრეტაციის განხორციელებისას, შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკი.

ყოველი საანგარიშო თარიღის მიხედვით ხელმძღვანელობა ახდენს საგადასახადო რისკების შეფასებას და განიხილავს იმ შემთხვევებს, რომლებიც შეიძლება შესწავლილ იქნას საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ. როცა ამის რისკის დადგომის აღბათობა იქნება მაღალი, კომპანია შექმნის შესაბამის რეზერვებს.

14. რეალიზაცია

	2021 წლის 31 დეკემბრით
1. სწავლის საფასური -	8 628 909,00
2. რეაბილიტაციის და სტომატოლოგიური კლინიკიდან შემოსავალი	338 375,00
3. სხვა შემოსავლები	187 702,00
სულ შემოსავალი	9 154 986,00
4. არასაოპერაციო შემოსავლები	78 046,00

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების გარდა, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგების კორექტირებას.

1-6 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ხელმძღვანელი: *მ. გოთუა*

ბუღალტერი: *ნ. სპ*

